ISSN 0132-6015

ნიანგი

13
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ.ნ. ბ. ფირცხალავა

— ამ ფიცრებს რომ ვიპარავთ, მგონი, დაგვინახეს!..
— ნუ გეშინია, ესენი მკვდარი სულები არიან!

— **რა არის ეს, რას დამსგავსებიხარ?!**
— **ბაზარში მივდივარ, ეგება უცხოელი ვეგონო და ცოტა ინა-მუსონ!..**

ფრაზები

ტურგენევი: სასაცილოსი თუ გეშინია, სიმართლე არ გაკარებია!

დოსტოევსკი: თუ კაცი კარგად იცინის, ნიშნავს, რომ კარგი კაცია!

სენეკა: სანამ შეგიძლიათ, იცხოვრეთ მხიარულად!

ჰორაციუსი: ხუმრობა, გამკილავი სიტყვა ხშირად უფრო წარმატებით და კარგად განსაზღვრავს მნიშვნელოვან საგნებსაც კი, ვიდრე მათი სერიოზულად და ღრმად შესწავლა.

ტოლსტოი: სიცილი— ეს კაცთმოყვარეობაა!

გიუიო: დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს ის დღე, როცა მთელი დღის მანძილზე, ერთხელაც არ გაგიცინია!

გორკი: მხიარული კაცი ყოველთვის კაცური კაცია, არამზადები იშვიათად არიან მხიარულნი.

გოეთე: არაფრით ისე არ ვლინდება ადამიანთა ხასიათი, როგორც იმით, თუ რა მიაჩნიათ მათ სასაცილოდ.

გოგოლი: სიცილი დიდებული რამ არის: იგი არ გართმევს არც სიცოცხლეს, არც მამულს, მაგრამ მის წინაშე დამნაშავე ხაფანგში გაბმულ კურდღელსა ჰგავს.

ქ ა რ ი შ ხ ა ლ ი

დახვეული კიბის ორი სართული ბაკაბუკით აირბინა, კედელში შერჭობილი ლურსმანი გამოაძრო, გასაღების ჭრილში გაუყარა, კარი გააღო და ლურსმანი ისევ ძველ ადგილას დააბრუნა. ოთახში შევიდა თუ არა, სარკეში ჩაიხედა და თავის ორეულს მოურიდებლად დაუწყო ლანძღვა: „ტარიელ იჩქითო, შე ტვინგაწყალებულო იდიოტო, რას ცქმუტავდი და რას შლიდი ხელებს პირველი გილდის ვაჭარივით, ფული გაწუხებდა, ხომ?! ახია შენზე, ხომ გადავარდი ოც მანეთში! ეტყობა, გაგათავისუფლეს ბინის, წყლის, სინათლისა და გათბობის ქირისაგან და არ მიმხელ, თორემ დღეს სექტემბრის ბოლო როა და თერთმეტი მანეთი გადასახდელი გაქვს, რას ფიქრობ?! ისესხებ?! ვისგან?!“.

დაკაკუნეს. ტარიელი სარკეს დაემუქრა, შემდეგ მოგელაპარაკებიო და კარი გააღო. ზღურბლზე ტარიელის სკოლის მეგობარი კოტე აშოლტილიყო.

—ძმაკაც, როგორა ხარ, შე დაკარგულო?!— კოტემ ხელები მოხვია ტარიელს და გულიანად ჩაკოცნა. — ეჰ, რაც ამ კიბეებზე გვირბენია ამ ოცდახუთი წლის წინათ! დედაშენი ახლაც თვალწინ მიდგას. რა ტკბილი ქალი

იყო, საწყალი! მოიცა, მოიცა, რაღაც სასმელის სუნი მცემს, სად წვიმდა, სად დალბი?!— განაგრძობდა კოტე შეკითხვებს ისე, რომ პასუხსაც არ ელოდებოდა.

ტარიელმა, როგორც იქნა, დრო იხელთა და ჩაურთო: სახინკლეში — ლუდი და სოსისი!..

კოტემ ისევ არ აცალა, ჯერ გადაიხარხარა და მერე გააგრძელა:

— აუჰ, მაგარი პურ-მარილი გქონიათ, ძმაო! რამდენი იყავით, სადამდე შეტოპეთ?!

— ექვსნი ვიყავით, ოც მანეთში გადავვარდი! — გაანდო გულის წუხილი ტარიელმა.

— ოჰო! გადაჩეხილხარ უფსკრულში და ეგ არის! — კოტე ხუმრობდა და ეგონა ტარიელიც ხუმრობსო.

— ნუ იტყვი, თორმეტი მანეთი ქირა მქონდა შესატანი და დავრჩი ისე, ვისგან გინდა ისესხო?!.

— ძალიან მიყვარხარ, ჩემო ტარიელ, მაგრამ მაგოდენ თანხას ვერ გენდობი, ყაჩაღად რომ გავარდე, მერე სად გდიო?!

ტარიელმა თვალი შეავლო კოტეს ტყავის ქურთუკს, ძვირფას პერანგს, თვალისმომჭრელად ლამაზ საათს, შარვალს, ფეხსაცმელს და მიხვდა, რომ კოტე ხუმრობდა, მიხვდა რომ ის, რაც მისთვის მძიმე ტვირთი იყო, კოტესთვის ბუმბულივით მსუბუქი გახლდათ.

საუბარი მოგონებებით დაიწყო. გაიხსენეს მასწავლებლები, მოსწავლეები, ნაცნობები. კოტე უფრო გათვითცნობიერებული აღმოჩნდა, უფრო მეტი ახსოვდა და ზოგიერთების შესახებ იცოდა კიდეც, თუ ვინ სად მუშაობდა და როგორ ჰქონდა ცხოვრება აწყობილი. ისიც მოიგონეს, ერთხელ ტარიელმა ხუთი ცალი პურის წიგნაკი რომ იპოვა, პატრონს დაუწყო ძებნა და მონახა კიდეც.

— მაშ, რაიონის ბიბლიოთეკებს აკომპლექტებ, არა? კარგია, — ისევ კოტეს ეჭირა საუბრის სადავეები. — მაშ, ცოლი არ მოგიყვანია, არა? ჭკვიანი კაცი ხარ. ოჯახი დიდი უღელია, დიდი საზრუნავია, აი, მე ორი ბიჭი მყავს და ღამე მშვიდად ვერ დამიძინია, მგლებივით არიან მამაძაღლები, სულ იმის შიშში ვარ, ფეხი ან ხელი არ მომაჭამონ-მეთქი.

კოტემ პაუზა გააკეთა და განაგრძო:

— ცუდი დრო დადგა... „ჩემდა გასაჭირად დადგა ათას ცხრაას სამოცდათორმეტი წელი!“ —სიმონა დოლიძის სიმღერის მოტივზე ჩაიღიღინა კოტემ, — ქარიშხალი ამოვარდა საქართველოში, ქარიშხალი!.. ხომ იცი, ჩემო ტარიელ, დედისა და მამის მხრიდან რა მდიდარი ბებიები და ბაბუები მყავდნენ (ეს პირველად გაიგო ტარიელმა), ჩემს მეტი არავინ გააჩნდათ. მთელი თავიანთი ავლა-დიდება მიანდე-

პირველი სადილი

რომ იცოდეთ, რა ბედნიერი ვარ! არასოდეს ვყოფილვარ ჩემი თავით ისე კმაყოფილი, როგორც დღეს! სიხარულისაგან ხელი მიკანკალებს და კალამი არ მემორჩილება, მაგრამ მაინც ვეცდები, ყველაფერი დაწვრილებით აღვწერო:

დღეს, პირველად ჩემს სიცოცხლეში, ჩემი საკუთარი ხელით სადილი გავაკეთე!.. მართალია, სულ რაღაც თერთმეტიოდე თვის წინათ ოცდათორმეტი წლისა გავხდი, მაგრამ აქამდე სადილის მომზადების საშუალება არა მქონია — გათხოვებამდე დედაჩემი მაჭმევდა, გათხოვების შემდეგ — დედამთილი!..

მაგრამ, აი, ცალკე ბინა მივიღეთ და თავისთავად წამოიჭრა საკითხი — რა ვჭამოთ?! ეს ურთულესი საკითხი მარტოდმარტოს უნდა გადამეწყვიტა!..

დილით მეუღლე სამსახურში გავისტუმრე, ცუცუნა ბაღში მივიყვანე და აღელვებული დავბრუნდი შინ. ჩვეულებად მაქვს, გონების მოსაკრებად ფანჯარაში უნდა გავიხედო ხოლმე. ახლაც გავიხედე და ეზოში სასწრაფო დახმარების მანქანა დავინახე!.. „მტრის ოჯახში!“ — ვთქვი გუნებაში და დედაჩემის ნაჩუქარი ბლოკნოტი გადავშალე, სადაც კულინარიული რეცეპტები ეწერა. დედას ძალიან გემრიელი „სოუსი“ გამოსდის, ამიტომ გადავწყვიტე, „სოუსი“ გამეკეთებინა. წავიკითხე პირველი წინადადება. ავიღე სამი თავი ხახვი, გავრეცხე, დავჭერი და ერბოიან ქვაბში ჩავყარე. დედაჩემი წინდახედული ქალია და ყველაფერი დაწვრილებით დაეწერა: **„მალმალე მოურიე, რომ არ დაიწვას!“** ბოლოს და ბოლოს, ხახვი შეიწვა, მაგრამ ვარდისფერ-მოწითალო ფურცლებს არაფერი ეშველათ! ქვაბი გადავდგი და კითხვა გავაგრძელე: **„ჩააყარე 4-5 ცალი დაჭრილი პამიდორი. კარგად რომ გაიფცქვნას, ცხელი წყალი გადაავლე!“**

რიგრიგობით მოვუშვი ჯერ ლურჯი ონკანი, მერე — წითელი. ორივეში ცივი წყალი მოდიოდა. ფანჯარაში გავიხედე: „სასწრაფო“ ისევ აქ არის, უჭირს ვიღაცას!

ჩავიცვი და სახლმმართველობაში წავედი, მინდოდა, გამეგო, როდის იქნებოდა ცხელი წყალი. დაახლოებით ჩემი ხნის ქალმა, შეიძლება ცოტა უფროსმაც, პატარა სარკმლიდან რომ იყურებოდა და ჩემნაირი წითელი მაშიები ეცვა, მითხრა, ხუთ საათამდე არაფრის იმედი არ გქონდეთო! როცა შემამჩნია, თუ რა ძალიან შევწუხდი, ჩამეძია, რად გინდა ცხელი წყალიო?! მერე ჩუმად მითხრა, ჩაიდნით გაზზე გააცხელეო! (მეორედ რომ მივალ, შოკოლადი უნდა მივართვა!).

ვაგრძელებ კითხვას: **„წინასწარ მოხარშულ ხორცს ჩაყრი ამ მასაში და ცოტას მოხრაკავ. წვენი ფრთხილად გადმოწურე, ნახარში არ შეყვეს!“** თვალები შეღებილი რომ არ მქონოდა, ვიტირებდი. ეს ხომ თავში უნდა დაეწერა?!

ფანჯარაში გავიხედე: „სასწრაფო“ არ წასულა! ღმერთო ჩემო, თუ კვდება ეს საცოდავი, საავადმყოფოში ვერ წაიყვანენ?!

ქვაბი გადავდგი და ხორცის დაჭრას შევუდექი. ამ დროს ჩემმა დოგმა გაიღვიძა, ფეხებთან ჩამიცუცქდა და წკმუტუნს მოჰყვა... შემეცოდა, მოვუჭერი ერთი ნაჭერი და გადავუგდე. ხელის აწევაც ვერ მოვასწარი, ისეთი თვალებით შემომხედა, კინაღამ გული დამეფლითა. კიდევ მოვუჭერი. უცებ გადასანსლა და ისევ მომაჩერდა, მაგრამ მე თვალები აღარ ამიწევია. მაშინ მოვიდა და კაბის კალთაზე ნაზად დამქაჩა. ჩავფიქრდი... ცუცუნა ბაღიდან მშიერი არ მოვა, მე დიეტაზე ვარ და ჩემი ქმარი ამ ძაღლზე მადლიერი მაინც არ დამრჩება. ცოტას კიდევ მივცემ! მეოთხედ რომ შემომხედა, ავიღე ერთი ნაჭერი, აივანზე დაუგდე და კარი გამოვიკეტე. სანამ ხორცი იხარშებოდა, კარტოფილი გავფცქვენი.

ცოდვა გამხელილი სჯობია და ეს ვერ გამომივიდა კარგად: ჯარში მე არ ვყოფილვარ და კარტოფილის გაფცქვნა საიდან მეცოდინებოდა?!

„სასწრაფო“ ადგილიდან არ დაძრულა.

ნამდვილად საყვარელი ჰყავს ექიმს ამ სახლში და ტყუილად აყურყუტებს აქ იმ საცოდავ მძღოლს! — გავიფიქრე.

მწვანილის ჯერიც დადგა. ხის დაფა საპნით გავრეცხე, მაგრამ ნივრისა და ხახვის სუნი მაინც ჰქონდა. ავიღე ყველაზე მოზრდილი წიგნი და მწვანილი იმაზე დავჭერი. მერე კი ვინანე — ყდის საღებავი მოსცილდა და მუშამბა დამისვარა!..

კერძი გავსინჯე. დიდებული რამ იყო, თუმცა რაღაც აკლდა. სანამ ფანჯარაში გავიხედავდი, მივხვდი, რაც აკლდა: მარილი! მივხვდი, მაგრამ განგებ არ ჩავყარე. კეთილი ინებოს ჩემმა ქმარმა და თვითონ მოაყაროს მარილი! ზის არხეინად კონდიციონერით გაგრილებულ ოთახში და წარამარა თავის ლამაზ მდივანს იძახებს! მე კი მთელი დღე ამ გაზთან უნდა დავიხრუკო და მარილიც მე მოვუყარო?! ვერ მივართვი!

თუმცა მაინც კმაყოფილი ვარ: „სასწრაფოც“ წავიდა და ცხელი წყალიც მოვიდა!

ანა მხეიძე

საქართველოში

რძეს, არაფერი მაკლია, ჩემო ტარია, კუბოს გარდა! სახლიცა მაქვს და მანქანაც, ავეჯიცა და აგარაკიც. ახლა, რაღაც ჩემდა ჭირად, ახალი სახლი ავიშენე, ხომ იცი, ბიჭების პატრონი ვარ, მომავალში რა იცი, რა იქნება, არ მინდა განვალდნენ. რა ვიცოდი, თუ ასე შეიცვლებოდა დრო. დამიწყებენ საიდანო, სად მუშაობო?..

— კი მარა, შენ ხომ კომბინატში მუშაობ მთავარ ინჟინრად?!

— მთავარ ინჟინრად!

— მერე, რა უნდა გითხრან, რომელი მებუფეტე ან ოფიციანტი განახეს?! რა უნდა ჰქონდეს ინჟინერს? ხელფასი და ჰა, ხანდახან პრემია! — ანუგეშა ტარიელმა, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მთავარ ინჟინერს მართლაც სხვა შემოსავალი არ შეიძლება ჰქონოდა და რომ ყველაზე დიდი მომხვეჭელები მებუფეტეები და ოფიციანტები იყვნენ!

კოტემ ეჭვიანად შეხედა ტარიელს, ნუთუ, ამ კაცს ამ ქვეყანაზე არ უცხოვრია?! ნუთუ, ისეთივე გულუბრყვილო დარჩა?!

საუბარი კოტეს ისე მიჰყავდა, როგორც მანქანა გამოცდილი ავტომანქანის მძღოლს, რომელმაც იცის, სად გაუხვ-გამოუხვიოს, სად შეანელოს, სად დაამუხრუჭოს და სად გააქანოს. საფერფლე, რომელსაც დაღრეცილი ფეხსაცმლის ფორმა ჰქონდა და გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ტარიელის ფეხსაცმელს, სიგარეტის ნამწვავებით აივსო.

— ნიჭიერი კაცი ხარ და გამიგებ, თან შენი ვაჟკაცობის იმედი მაქვს, — მოელაქუცა კოტე ტარიელს, თორემ არც მისი ნიჭისა სწამდა და არც ვაჟკაცობისა. — ის სახლი შენს სახელზე უნდა გავაფორმო და ცარიელ ბინაში ცხოვრება რომ არ მოგიხდეს, ბებიებისა და



ბაბუების ნაქონი ანტიკვარით გაგივსებ, ისეთ სურათებს ჩამოგიკიდებ, რომ თავი ლუვრში გეგონოს! ერთი ორი წელი, მეტი ხომ არ გაგრძელდება ეს ამბები?!

ტარიელს — ასეთ „ვაჟკაცსა“ და „მეგობრებისთვის ამოღებულ ხმალს“, როგორ შეეძლო უარი ეთქვა კოტესათვის?!

ერთი კვირის შემდეგ ტარიელი ახალ, ორსართულიან სახლში გადავიდა საცხოვრებლად და ჯიბე თოთხმეტი გასაღებით დაიმძიმა, კოტეს იგივე თოთხმეტი გასაღები ჰქონდა და პლუს კიდევ ერთი... ნიშაში მოთავსებული შენიღბული სეიფისა, „სამსახურის საბუთების“ შესანახად. ტარიელის ოთახში კი მისი სოფლიდან ჩამოსული სტუდენტი გოგონა ჩაწერა.

და იქცა ტარიელ იჩქითი აღურიცხველ, უპროფილო და იატაკქვეშა მუზეუმის დარაჯად.

ყველაფერი ჰქონდა ტარიელს—ამერიკული ჯინსის კოსტიუმი თუ მაკარტის სათვალე, ფინური ფეხსაცმელები თუ ადიდასის პიჟამა, კანადური „დუბლიონკა“ თუ ინგლისური პერანგები, ფრანგული პარფიუმერია თუ „ქემელი“ და „ფილიპ-მორისი“, ხოლო სახლი ხომ ნამდვილი სრა-სასახლე იყო, ძალიან დიდი აბაზანით, სამი საპირფარეშოთი, საბილიარდოთი, ბარით, შვედური კედლით, იაპონური სტერეომაგნიტოფონით, ვიდეოტელევიზორით და სხვადასხვა ტექნიკური საოცრებებით სამზარეულოსა თუ მარანში, რომელთა შეხებაც შიშსა ჰგვრიდა, ვაითუ ტექნიკის მსხვერპლი გავხდეო! იანვარში დედაბრის ნანატრი მარწყვი არ აკლდა და ვეებერთელა მაცივარში ქილით ჩიტის რძისგან დაყენებული მაწონი ედგა.

სრა-სასახლეში კვირაში სამჯერ მაინც იკრიბებოდნენ კოტეს თანამოსაქმეები. ასე რომ, სახლი იგივე საქმოსნების შტაბბინად იქცა და მას „ლომების ბუნაგს“ უწოდებდნენ.

იყო პურ-მარილები, პორნოგრაფიული ფილმების ჩვენება და სახალისოდ ბანქოს თამაში. ათასობით იგებდნენ და აგებდნენ, ძირს დავარდნილ ასმანეთიანებისათვის თავს არ ინუხებდნენ, „ვპოლზუ ბედნიხ!“ — ამბობდნენ და ტარიელიც მათი გასტუმრების შემდეგ ინდონეზიური ხალათის ჯიბეებს ივსებდა მსხვილი კუპიურებით.

ტარიელს მხოლოდ მანქანა აკლდა და აი, ერთხელაც, „ლომების ბუნაგის“ წევრმა ალიოშამ, რომელიც ტარიელს „ძმას“ ეძახდა, თავისი ბებიებისა და ბაბუების მიერ ნაანდერძევი ქონების წყალობით ნაყიდი მანქანის გადაფორმება სთხოვა მის სახელზე.

— მთელ საბჭოთა კავშირში ერთი „იმპერიალი“ იყო და ისიც მე შევიძინე, დაიწყებენ:

(დასასრული მე-4-მე-5 გვ.)

ნახ. ჯ. ლოლუაი

— რას გვეტყოლით თქვენი მუშაობის სეციფიკაზე?
— დილით უნდა მოხვიდე და საღამოს წახვიდე!

ქარიგანი საქართველოში

(დასასრული.)

საიდანაო, სად მუშაობთ?!...

— მენ ხომ ფაბრიკაში მუშაობ საამქროს უფროსად!

— საამქროს უფროსად!

— მერე, რომელი მეხუთეტე ან ოფიციანტი შენა გინახავს! რა უნდა გააკეთოს, თუ მაა ხარ, საამქროს უფროსმა? — არა, ტარიელი ალარ იყო ისეთი მიამტანი, მაგრამ გრძობდა, რომ რაღაცა საშინელების თანამონაწილე გამხდარიო. ამტკიცებდა თავს იმედუებდა.

ზაფფლუნს პაპანაქების უფროსი ტარიელ, რაგდან კოტეს ერთ-ერთმა მეგობარმა ბებიებისა და ბაბუების ნაინდერძვეი აშენებული კოტეეი გაიყოროს მის სახელზე და ტარიელიც „იმპერიალით" დაპატრიდა თბილისსა და ნაწყეის შორის.

რა ჯორკენს არ თხზეგდნენ ეანტაზიაიაგზენებული ალამიანები ტარიელზე ეგ ოუორმე ინ ინ სახლში ცხოერობდა, რომ დაანგრიეს და კედელში ორი მილიონის ოქრო უპოვიაო. არაო, — „ამტკიცებდა" სხვა, — დანამდვილებით ვიცი, ამერიკაში უმეფლირო მილიონერი ბიძა ყოოლია და რომ გარდაცვლილა, თავისი ქოონება ეანდერძებიაო. ტარიელს კი ყველაფერი ჰქონდა და... არაფერი—თავისი. პაბერსანი კიცის სახელია, რომელიც მას ეპაგა, ისე გაეძარცვინა, თავადაც ვერ მიმხვდარიყო.

საკუთარი ყველაფერი დაკარგა და „ლომეფის ბუნაგის" ბინადარია ეპიგენნად ექცა. ხან კოტესავით ლაპარაკობდა, ხან ალიოშასავით, ხან ნეგუბარივით და ხანაც ნიპოსავით. ეოოგას რომ დალუდავ, ლაპარაკს ალარავის აცდიდა, მეეერთად, თუმცა არც ხმა ჰქონდა და არც სმენა, ხუმრობდა, თუმცა იუმორის ნაპახიც არ გააჩნდა. გრძელ-გრძელ სადეგრძელოებს ამბობდა, თუმცა არც ოქროპარად ეარეოდა, დარდიმანდობდა და არ უფდებოდა. მაინც ეენინებდენ საქმეოელს, სიმღერებს ეეეიოადენენ, მის ხუმრობაზე ეეიინოდენ, ცეკვას სოხოოდენენ. ნიპო „სტენგეის" მოოჯდებოდა და შესახეხდაო;

— აბა, ტარიელ, ერთი შენებური „შაალბოო"—და ისიც აცეკვებდაო მოუქნელად, ულაზათოდ, სასაცილოდ.

კოტე და მისი ძმაკაცები ვერ აღმოჩნდნენ კარგი სინოპტიკოსები ფლე ფლეს მისდეგად და ნელინადებად იქმნებოდნენ, „ეარიშველი" კი ჩადგმას არ ეპირებდა. ძველი სიხალიე დიკარგა მათს დროსტარებას, სიმღერებში ნალეკმა იძალა, კოტეს პროკურატურაში ჰქონდა საქმე. ალოიშს მოხსნეს, ნიპოს ოეროზია ეუდა, ხოლო ნეგუბარის ასაამრალლი ფლედდეს უნდა დანიშნულიყო. ტარიელს კი არც ციოდა და არც ცხელოდა, ფარფიანებოდა და ბოლო ფროს ფოფფანობაც დაინყო.

კოტემ ბინის მოსაგალად და ჯორ-მარალების გასანყობად ერთი ახალგაზრდა ქალი ფლიქონაგა. მზეთუნახავი არ ეოლმოდა, მაგრამ სანდომიანი კი იყო და ამტკმაც ყველა ელალბეეეებოდა, მით უმეტეს მაშინ, თუ ნუნუა თავაში ჰქონდათ ავარანენი.

იმ დილით ტარიელი ხარხობად იყო. სამსახურში წასვლაზე არც უფიქრია. ქუჩაში ავტომობაქანის სიგნალის ფეხბურთის მარში დაუკრა (ასე ჰქონდა მოწყობილი სიგნალიზაციაც კოტეს). ტარიელ, როგორც იქნა, ჩალასლასდა ეზოში და ჭიშკარი გააღო. ეოუ საზეიმოდ გამოწყობილიყო, მაგრამ ტარიელს ამისათვის ფურადღება არ მიუქცევია, ისევ ალასლასდა მეორე სართულზე და ლოგიაში ჩანვა.

— ტარიელ, ადგარეო, იქნებ ჩემი სარგო ხალათი გერეფეს. ამ ეკეთი ეამოიარეკა სახლის დალაგებას! უთხრა ნუნუმ და კაბა ასანრაფოდ გაიხადა, გამმეირვალე პერანგი ეეეკი ტარიელს გული შეუტოკა. გვერდზე გადგარიალდა, რაო ამბერი ეერნიგინა. ნუნუ კი გაბაგრძობდა კაკასს:

— რა ლოგინისაკენ გამომიტყუე, ჰა. შე ეიმაკო, შენა, იქნებ მე ფფრო მეტრ ინდენა?!

— აიღე და შენი დანქეკ! — ბეეკუთალად ისროდა ტარიელმა და სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო, ნუნუ მის სანოლში აღმოჩნდა...

ბოლოს და ბოლოს, ტარიელიც მამაკაცი იყო...

— შე მაკდფრო, საძაგელო, მეეეო, ისარგებლე ხომ ჩემი სისუსტეთ?! — ალერსით უჯავრდებოდა ნუნუ.

ტარიელი მარილაც დაიკეკრა, რომ მაცდურო, დონეკეანი და საერთოდ, ქალების მადეკარი კაეკიაა.

ახლა ეკირაში სამეკრ კი არა, ნუნუ სახლის დასალაგებლად ფლეში სამეკრ მოგიიოდა და უკეოოდ ეეყვარებულის ოოლს თამაშობდა.

ნუნუ სულში ეეუოეკრა ტარიელს და იმდენი უბერა, ვიდრე თანაგრძნობა სიყვარულად არ აქცია.

ორი თვეკ „ეითა ცხენსა ნაპარაკსა" მალაგდნენ სიყვარულს. ბოლოს ნუნუმ მორცხეად შეაპარა:

— ტარიკო, ხელი როდის მოვაწეროთ!

ტარიელი ისე შეკრთა, თითქოს მეგეუბალი მიადგეს მაშეეელ ტანზეეო, სული არ უფიქრია ეოლის მოყვანა, რაგდან იცოდა, რას ნიშნავდა ეეს, რომ თავიც არ ეკუთვნოდა და არკუთვნილის სხვისთვის მიკუთვნენაც როგორა შეეძლო?! უთხრას ნუნუს? არა და არა! „საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხეეეეა და ალეარსი!..."

ნუნუ აქეითინდა:

შემაკდინე, ნამუსი ამმაგე, დამლუპე. იცოდე, თვითმკვლელობით დაგამთავრებ სიცოცხლეს და მოგაკლდებაა სიყვარული, მთელი ცხოერება დაიტანჯები ჩემი ცოდვით, მშეიდობით! — ეანიკო მსახიობის პოეტეკეთ ოოოოდა ნუნუ, მაგრამ ტარიელმა ყველაფერი ხალასად მიიღო, ეეა სასიკედლოდ განნირული ქალის და დამშეიდება დაეწყო.

— ეეეს, ნეტაც შენც ჩემსავით არაფრის მქონე ყოფილიყავი.

ნუნუს ეს ბოლო ფრაზა ბახდა ის გარი, რომ ტარიელს ეეეი ეეეე

გულო ვლადიმერის ასული გრიგალაშვილი — სურამის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს სანიგარი; თავი გამოიჩინა სანიგარიისადმი მეგისმეგი მიდრეკილებით; სამსახურიდან შორს, ხაშურის „ქალაქვაჭრობის" №77 მაღაზიაში ქალბაგონი გულო გულმოდგინედ შეუდგა საქმეს და დასუფთავება ფეხსაცმელების ალაგებით (შემდეგ ჩანთაში ჩალაგებით) დაიწყო.

წარმოიდგინეთ, გამყიდველებმა წინააღმდეგობა გაუწიეს სანიგარული დღე უკვე გვქონდაო და ალაგებული ფეხსაცმელები უკან დაალაგებინეს. მაშინ გრიგალაშვილმა შავი დღე დააყენა მათ. ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს სანიგარმა ჯერ ფსიქიური და ნერვიული მუქარა განახორციელა, შემდეგ კი ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადავიდა.

ამჟამად მის არეულ-დარეულ გონებაში სანიგარულ წესრიგს მართლმსაჯულების ორგანოები ამყარებენ.

მერი აპოლონის ასული მაცაბერიძე — მაგარებელ თბილისი-მოსკოვის ვაგონ-რესგორნის მრეცხავ-მიმგანი — თავი გამოიჩინა იმით, რომ ჭურჭელთან ერთად სინდისიც გაირეცხა, შემდეგ დაიწყო კერძების მიგანა და თავისთვის სარფის მოგანა.

ერთ-ერთი ასეთი მიგანის დროს, მუშგარმა მოგყუება ვეღარ აიგანა.

— პლაცკარგისა და სიჩქარისა დავარიცხე, იმიგომ გამოვიდა ბევრი, — თავი იმართლა მერიმ.

სწორი პასუხის მოსაფიქრებლად სასამართლომ მაცაბერიძეს ერთი წელი მისცა.

ვერა ავქსენგის ასული ყაზაროვა — ქალაქ გორის მცხოვრები, თავი გამოიჩინა იმით, რომ ძალიან მაღლა სწევდა უცხოეთის ფირმების პრესგიჟს, მათ მიერ გამოშვებულ საქონელს ორმაგ და სამმაგ ფასებში ჰყიდდა.

მან თავის ბინაში, სამგორის ქუჩაზე საკუთარი ინიციაგივით გახსნა ამ ფირმების ფილიალი და ფიცხელი ვაჭრობა გააჩაღა.

ვერამ თავისი მამის ავქსენგის ფიცზე გადაიგანა აქცენგი, რათა რაც შეიძლება მაღლა აეწია ფასები. მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ არ დაუფიცია და მუშგარს კაბაში და ქალის ჩექმებში ისე გადააშვლიპა ზედმეგად 180 მანეთი. ამიგომაც არ დაუჯერეს.

დიახ, უმადურები გამოდგნენ მუშგრები, ფილიალის საქმიანობით მოთმინების ფიალა აგვევსოო, მილიციას შესჩივლეს.

გული ვასილის ასული ჭედია — აბაშის რაიონის სოფელ უწერის მცხოვრები. სამოღვაწეოდ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრები ეცოგავა და დედაქალაქში ჩამოვიდა. გულის სიგარეგ „ლუქსის" ლამაზმა კოლოფებმა მოსგაცა გული და მაშინვე იძრო ფული — 650 კოლოფი შეიძინა.

ჩემმა თანასოფლელებმა გასაბოლებლად ძლივს მოიცალეს და მათთვის მიმქონდაო, თავი იმართლა მაგრამ უწერიდან ჩამოსულს მათი სია არსად ეწერა და ამიგომ სასამართლოსადმი მიცემული ჩვენება ძალიან აურია.

დიახ, ახლა ვასილის ასული სინანულით არის გავსილი. მაგრამ რაღა დროს.

ქნარიკ პოღოსის ასული ხაჩაგურიანი — ქ. თბილისის 26 კომისრის რაიკვებვაჭრობის №16 მაღაზიის გამყიდველი — სახელი გაითქვა როგორც სასწორების მომთვინიერებელმა. თითის ოდნავი წაკარება და მისი დასლის სასწორი ზუსგად იმდენს აჩვენებდა, რამდენიც ქნარიკას უნდოდა.

ერთხელაც 12 მანეთისა და 28 კაპიკის პროდუქგის ფასი 15 მანეთად დაამრგვალებინა თავის გაწვრთნილ სასწორს და სწორედ ეს შედეგი აღნიშნეს მის საუკეთესო მიღწევად მართლწესრიგის ორგანოებმა, მაშინ როცა ქნარიკას სხვა, ბევრად უკეთესი შედეგებიც ჰქონდა. აი, რა არის გულდასაწყვეგი.

გენია ფაისახის ასული მაგლისი — ქალაქ რუსთავის მცხოვრები. ადრე გენიას იცნობდნენ, როგორც მანუფაქგურული ნაწარმის უფაქგურო და უიარლიყო ვაჭრობის გენიას. იგი თბილისის მაღაზიებში ყიდულობდა ფართო ასორგიმენგის საქონელს და რუსთავში ჩაგანისას იმპორგულად ასაღებდა.

ფაისახის ასულის ეს ამაგი ერთხელ უკვე აისახა სასამართლოს ოქმებში.

1980 წლის სექგემბერში გენია კვლავ გენიალური ჩანაფიქრით ჩამოვიდა რუსთავიდან თბილისში: 1900 კოლოფი სიგარეგი შეიძინა და, რაც ძალიან დასაფასებელია, ასორგიმენგზე აქაც იზრუნა გამოცდილმა ექსპედიგორ-გადამგან-გადამყიდველმა — სიგარეგების ამ დიდ პარგიაში ნახავდით „მზიურს", „ლუქსს", „კოლხეთსა" და „კოსმოსს".

ჩაჯდა თავისი გვირთით მაგლისი გაქსში, მაგრამ იქვე შენიშნა, რომ მანქანა მაგლივით მიღოღავდა და მალე სულაც გაჩერდა პირველი მაისის რაიონის მილიციის განყოფილებასთან.

ამჟამად გენია კვლავ ოთხი წლით გადის იმის გენერალურ რეპეგიციას, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანურად.

ნახ. მ. აბაშიძისა



— აქედან შესვლას საშვი უნდა და, თუ არ გაქვს, მიდი ეგერ გვერდიდან!



— ყველანი რომ საქმიან პრეზიდიუმში აირჩიეთ, გამოდის, მარტო მე ვყოფილვარ უსაქმური!

ნახ. ბ. ფირცხალავასი

— გეგმით შვიდასი უნდა დაგვეგზავნოდეგინათ და 1500 როგორ გამოუვიდა?
— ეგ ყველაფერი რომ გითხრა, უფროსო-ჯან, იმასაც ვერ დავეგზავნიდეგ-დით, რაც დასაგზავნელი გვქონდა!

ეერნან რეინო
(საფრანგეთი)

ჰეროდე

პანია გოგო მაგიდას უზის. იქვე სხედან მამიკო და ბებიკო.

მამიკო: გოგო, ჭამე ფაფა!

გოგო: არ მინდა! არ შევჭამ! არ შევჭამ!

მამიკო: შვილო, ჯერ ერთი, დაიხსომე მამის რჩევა — არასოდეს შეედავო. მეორეც — არ შეჭამ და, მთელ თეფშს კისერში ჩაგასხამ!

გოგო: ვუაااა! დამმდულრო გინდა, ხომ?!

მეზობლები (კედელს იქით, ერთხმად): ჰეროდე! ბავშვთა მმუსვრელი, ჯალათი!

მამიკო: შენ რაო, პაწია არამზადავ?! გინდა, მთელი მარსელი შემიყარო მხოლოდ იმის გამო, რომ ერთი თეფში ფაფის შეჭმა არ გინდა?! ჭამე ახლავე!

გოგო: არ შევჭამ! არ შევჭამ! არ შევჭამ!

მამიკო: მომისმინე, შვილო! მე ყოველდღე რვა-რვა საათს ვმუშაობ და მთელი ეს რვა საათი უფროსობა მაზის კისერზე. ჰოდა, როცა სახლში ვბრუნდები, ცოტა ხომ მაინც უნდა დავისვენო?! ბოლოს და ბოლოს, მაქვს თუ არა ამის უფლება?! ჭამე ფაფა, თორემ!..

ბებიკო: მომისმინე, ძვირფასო სიძევ, ვფიქრობ, შვილის უკეთ აღზრდისათვის...

მამიკო: მომისმინეთ, ჩემო საყვარელო სიდედრო, მომეშვით თქვენი ჭკუის სწავლებით! ხოლო თუ ამას არ იზამთ, მაშინ იმას გააკეთებთ, რომ, რაც შეიძლება მალე, ჩაჯდებით მატარებელში და, ღვთის შეწევნით, სახლში დაბრუნდებით!

გოგო: მამიკო ქუჩაში აგდებს ბებიკოს! ვუაااა!

მეზობლები: ჯალათი! ბავშვთა მმუსვრელი!..

მამიკო: გესმის, არამზადავ, რას გაჰყვირიან მეზობლები?! და ამას ამბობენ ჩემზე — უბანში ყველაზე პატივსაცემ ადამიანზე! ჩუ-მად! შენ არც კი გესმის, რას ნიშნავს ჩემთვის ჩემი რეპუტაცია! ეშმაკსაც წაუღიხარ, არ გინდა და ნუ ჭამ ფაფას! მაშ, რა ჯანდაბას მიირთმევდი?!

გოგო: დამაცა, მოვიფიქრო... ეეე... შაქარლამა მინდა!

მამიკო: ვინ ჭამს ამ დროს შაქარლამას, იდიოტის შვილის გარდა?!

გოგო: სავსებით სწორი ხარ, მამიკო!

მამიკო: მე შენ გიჩვენებ „სავსებით სწორი ხარ, მამიკოს"!

მეზობლები: ჯალათი! ბავშვთა მმუსვრელი!

მამიკო: ყელშიც გაგჩხერია! აჰა, ჩახეთქე!

გოგო: არა, ჯერ შენ გასინჯე, იქნებ მოწამლულია?!

მეზობლები: ჯალათი! ბავშვთა მმუსვრელი! მომწამვლელი!

მამიკო: ჩუმად, შე მამაძაღლო! ჰა, შეხედე, ხომ ვჭამ?! დაგწყევლა ღმერთმა!

ბებიკო: ძვირფასო სიძევ, ნუთუ, არ ფიქრობ, რომ...

მამიკო: უუსაყვარლესო სიდედრო, აბა, ერთი აქ მომიტანეთ დიჟონს მიმავალი მატარებლების განრიგი, სადაც იქვენ, ღვთის შეწევნით...

გოგო: ვუაااა! ვუაااა!

მეზობლები: ჯალათი! ბავშვთა და დედაბერთა მმუსვრელი!

მამიკო: ჩუუუ-მად! ახლა რაღა გაღრიალებს?! შაქარლამა მოგინდა?! ხომ მოგეცი! მოითხოვე, პირველს მე მეჭამა, რათა დარწმუნებულიყავი, მოწამლული რომ არ იყო! ვჭამე, ახლა რაღა გაღრიალებს?!

გოგო: შენ სწორედ ის ნაჭერი შეჭამე, რომელიც მე მინდოდა! ვუაااა!

მეზობლები: ბავშვთა მმუსვრელი! ჯალათი! ავაზაკი!

თარგმნა უნ-გიამ

ნახ. გ. ფირცხალავასი

— მაგას ვერ დავაწინაურებ, ჯერ ვერაფრით გამოიჩინა თავი!
— ამ ერთ თვეში სამჯერ გვაჭამა პური და მეტი რა ქნას ახლა?!.

წერილების კვალდაკვალ

ქ. თბილისში, საბჭოს ქუჩაზე, № 97 სახლში მდებარე სახინკლეში შეუზღუდავად ვაჭრობენ სპირტიანი სასმელებით, საღამოს საათებში მთვრალი მამაკაცები ქუჩაში გამოდიან, ტეხენ დებოშს! — სწერდნენ რედაქციას.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოდან, სადაც ეს წერილი რეაგირებისათვის გადაიგზავნა, გვაცნობეს, რომ შემოწმებით დადგენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ ოქტომბრის რაიონის საზკვების ტრესტის ხელმძღვანელობას დაევალა, სისტემატური კონტროლი დააწესოს ხსენებული ობიექტის მუშაობაზე, შეზღუდონ სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა დადგენილი წესის მიხედვით, შემოიღონ მორიგეობა.

* * *

საჩხერის რაიონის სოფელ სავანედან რედაქციაში გამოგზავნილ წერილში მოითხოვდნენ **აქვე ადრე არსებული სამკურნალო აბანოს აღდგენას.**

სახალხო დეპუტატების საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომიდან რედაქციას აცნობეს, რომ სოფელ სავანეში მართლაც არსებობდა პრიმიტიულად მოწყობილი სამკურნალო აბანო, მაგრამ წყლის დებეტის სიმცირის გამო, კოლმეურნეობის გამგეობამ იგი 1964 წელს გაუქმა.

რაისაბჭოს აღმასკომმა გაითვალისწინა მოსახლეობის მოთხოვნა და შესაბამის უწყებებს დაავალა სავანის წყლის ლაბორატორიულად შესწავლა, რის შემდეგაც დაისმება აბანოს აღდგენის საკითხი.

თბილისის 99-ე საშუალო სკოლა შეუფერებელ შენობაშია მოთავსებულიო, სწერდნენ რედაქციას.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოდან, სადაც წერილი გადაიგზავნა, შეგვატყობინეს, რომ 99-ე საშუალო სკოლის ახალი შენობისათვის ტექნიკური დოკუმენტაცია მზად არის, სკოლის მშენებლობის დაწყება გათვალისწინებულია 1982 წლისათვის დიდგორის ქუჩაზე.

ილუსტრაციები ა. კანდელაკისა

კარელ ბრადაჩი
(ჩეხოსლოვაკია)

გასამართლება

პროკურორის სავარაუდო სიტყვა, წარმოთქმული სამხედრო ნაცისტ დამნაშავეთა პროცესზე ფრანკფურტში, ფრაიბურგში და გფრ-ის სხვა ქალაქებში.

ერთხმად ითხოვენ გაიხსნას საქმე,
ყველას სწყურია სიმართლის ცოდნა,
ოღონდაც მინდა დავძინო აქვე
ყალბი ბრალდებით ჩავიდენთ ცოდვას.

ამბობთ: იყოო ნამდვილი მხეცი,
ლაფში მოსვარა მაღალი ჩინი!..
მიზეზის ახსნა თან თუ არ ერთვის,
ამაოდ უნდა იჭყლიტო ტვინი!

იქნება ტყვეებს კეფაში ტყვიას
შეუბრალებლად მიტომ უშენდა,
რომ ბალღობაში ბებია ხშირად
უმართებულოდ უტყაპუნებდა.

ყოფილა: შმაგი და მწვალებელი,
დაჭრილ მეომრებს ცოცხლად მარხავდა! —
იქნება მკაცრი მასწავლებელი
ცოდნა-სწავლისთვის ძალას ატანდა?!

ამბობთ: დიაცებს საყურეს გლეჯდნენ
თვითონაც და სხვა ბევრი ყაჩაღიც! —
ეჰ, ბავშვობაში არ ჰქონდათ, ეგებ,
კამფეტისათვის გროშის ნასახიც?!

მან არაერთხელ იგემა ტანჯვა,
და თუკი ქალებს მოექცა ავად,
იქნებ მონიკა, ლოტე ან ვანდა
უთანაგრძნობოდ უყვარდა თავად?!

მასზე აუგის აგრე მოუბარს
ჭეშმარიტების ჩქმალვა სწადია!..
რა სიმტკიცეა! — არვინ მოუკლავს
ოცდათექვსმეტი წელიწადია!

და თუ ნაცისტად ინოდებოდა,
ღმერთო მაღალო, რა მოხდა, ნეტავ?!
ჰო, მართალია, ზოგჯერ ცდებოდა,
მაგრამ წმინდანი ვინ არის ქვეყნად?!

ალალი, თუმცა ბრიყვია ცოტა,
ალბათ უმალვე მიხვდებით ამას!..
ვინც არაფერში თვითონ არ ცოდავს,
დაე, პირველმა ესროლოს ქვა მან!

თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

477
27.VII 81

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი"
№ 13 (1599) ივლისი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი,
ნოდარი ბართაია,
ბორის გურგულია,
ნოდარ დუმბაძე,
რევაზ თვარაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი),
ბეჟან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ალექსანდრე სამსონია,
გიგლა ფირცხალავა,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
თამაზ წივწივაძე,
ვაჟა ჭანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),
ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუზალაშვილი

გადაეცა ასაწყობად
10. 6. 81 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
9. 7. 81 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/8
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 1
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. № 14,
შეკვეთა № 1629 უე 08512
ტირაჟი 150.950.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 93-62-04, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический
журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.
ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137